საბეკონე სუქება

საბეკონე სუქება თანამედროვე პირობებში ყველაზე უფრო გავრცელებული და მოთხოვნადია მეღორეობის დარგისათვის. იგი ძალიან სპეციფიკური და შრომატევადია. ამ მეთოდით უმაღლესი ხარისხის ხორცი მიიღება.



საბეკონე სუქების დროს არჩევენ ლანდრასის ან ლატვიური თეთრი ჯიშის მოზარდებს 35–40 კგ წონისას. კვებავენ კონცენტრატის ნარევით ქერისა და ბარდის მარცვლისა, მწვანე მასისა და თივის ფქვილის კომბინაციით. სუქების პერიოდში აუცილებლად უნდა ქონდეს სუფთა სასმელი წყალი, ცარცი, წითელი თიხა და ხის ნახშირი. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სისუფთავეს და ვენტილაციას. ყოველი 4–5 დღის შემდეგ პირუტყვი უნდა დაიბანოს ჯაგრისით სუფთა წყლით +20°C–ით, სიცხიან ამინდში უფრო ინტენსიურად. სინათლე სუქების პერიოდში უნდა იყოს შეზღუდული. ამიტომ კირის რძით ღებავენ ფანჯრის მინებს. ჭამის წინ 5–7 წუთით ადრე ანთებენ სინათლეს და ღორები გამოდიან

მოსასვენებელი ადგილიდან. იქ არ სვრიან, გამოდიან თავისუფალ ადგილზე და იცლებიან. ჭამის დამთავრების მერე ხდება დასუფთავება და სინათლის ისევ ჩაქრობა. დაუშვებელია სუქების ბოლო ორ თვეს სუნიანი საკვების მიცემა, განსაკუთრებით თევზეულის. საკვები ეძლევა მშრალი სახით. პირუტყვის სუქება წარმოებს 8 თვის ასაკამდე. დაკვლა ხდება 95–105 კგ–ის მიღწევისას.